

კონფლიქტების ტრანსფორმაციის პერსპექტივა

1. მოხსენების მოსამზადებლად გაწეული მუშაობის შესახებ

აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი მოხსენების მოსამზადებლად აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები “ექსპერტთა თემატურ ჯგუფთან”, აგრეთვე შესაბამისი პროფილის სხვა ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თბილისში (04.08.11, 05.08.11, 15.08.11, 20.09.11, 23.09.11), გორში (08.08.11), ხურჩაში (09.08.11), ოზურგეთში (10.08.11), ბათუმში (11.08.11) და ქუთაისში (12.08.11), თელავში (09.09.11).

შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა პროექტებში გაერთიანებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფებთან. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის დევნილები და მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტის რეგიონების მიმდებარე არეში, რეგიონალური საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები.

ამის გარდა მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია ბოლო 18 თვის განმავლობაში მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) და საერთაშორისო ორგანიზაცია უსაფრთხო მსოფლიოს (SW) მიერ ჩატარებული კვლევების მასალები. ამ მასალებში გაანალიზებულია სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებები კონფლიქტების, უსაფრთხოების და მშვიდობის პრობლემებზე. ჩატარდა შეხვედრები ამ პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებთან.

2. გამოვლენილი ტენდეციები და მოსაზრებები

სამოქალაქო საზოგადოება არაა ჩართული კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბებაში და მით უმეტეს არც მისი რეალიზაციის პროცესში. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის კონფლიქტების თემა მეორეხარისხოვანია. ასეთი ვითარება ბუნებრივია მძიმე სოციალური ხასიათის პრობლემების, მასიური სიღარიბის და მომავლის შიშის ფონზე, განსაკუთრებით პერიფერიებში.

მძიმეა დევნილთა მდგომარეობა, მათ შორის კომპაქტური ჩასახლების ადგილებში. მათ ჩართულობაზე კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხებში საერთოდ არაა ლაპარაკი, თუ არ ჩავთვლით ერთეულების მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებში. მთლიანობაში საზოგადოება უარყოფითად ახასიათებს დევნილთა მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას.

ხშირ შემთხვევაში დევნილებზე უფრო მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება “ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის” პირა სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სოფლებში. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არა აქვს საშუალება აწარმოოს მეურნეობა და ძალადობის მუდმივი შიშის ქვეშ იმყოფება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) არ წარმოადგენს საფრთხეებისაგან დაცვის ან “ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე” წარმოშობილი პრობლემების მოგვარების ეფექტურ მექანიზმს. აღნიშნული “ხაზის” ადგილი თვითნებურად ფიქსირდება რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და დე-ფაქტო ადმინისტრაციის მიერ. მათ მიერვეა დაწესებული კონტროლი და სასჯელის ზომები “სახელმწიფო საზღვრის” გადაკვეთისათვის. ხშირია ამ მიზეზით ადამიანების დატყვევების ფაქტები.

თავისუფალი მედია საშუალებების წარმომადგენელთა საქმიანობა იზღუდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია საქართველოს პერიფერიულ რეგიონებში. ჟურნალისტების

მიმართ ადმინისტრაციის დამოკიდებულება უხეშია. როგორც რეგიონალურ, ასევე ცენტრალურ საინფორმაციო საშუალებებში კონფლიქტების თემა არ წარმოადგენს პროფესიონალური ანალიზის საგანს. როგორც წესი ეს საკითხი პოლიტიკური სპეკულაციების იარაღია. სახელისუფლებო რიტორიკაში კონფლიქტების თემა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის პრიზმაში განიხილება.

არათუ მოსახლეობას, არამედ თავად ხელისუფლების წარმომადგენლებსაც არ გააჩნია ინფორმაცია კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ. ყურადსაღებია საზოგადოების დიდი ნაწილის გაუთვითცნობიერებლობა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში. ეს გარემოება ნოყიერ ნიადაგს უქმნის მოსაზრებებს, რომ კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების საქმეში დასავლეთი არ იჩენს სათანადო დაინტერესებას და მხოლოდ რიტორიკით, უკეთეს შემთხვევაში კი “შეშფოთების გამოხატვით” შემოიფარგლება (საყურადღებოა, რომ ფრაზა – “გამოხატავს შეშფოთებას”, სულ უფრო ხშირად გამოიყენება საქართველოს პრობლემებისადმი დასავლეთის პოზიციის ირონიული დახასიათებისათვის).

როგორც ხელისუფლების მომხრე, ასევე მის მოწინააღმდეგე საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ ყველაფერი რასაც ხელისუფლება აკეთებს შეთანხმებულია “დასავლეთთან”, კერძოდ აშშ-ს ადმინისტრაციასთან. საერთო აზრია, რომ ომის მიზეზია არა უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დაწყების წინ გადადგმული ნაბიჯები, არამედ მზარდი დაძაბულობის, პროკაციებისა და ინციდენტების ხანგრძლივი პროცესი. ამასთანავე ერთნი ამტკიცებენ, რომ პროვოკაციები რუსეთმა დაგეგმა, ხოლო დასავლეთმა, გაფრთხილებების მიუხედავად არ აღმოგვიჩინა საჭირო დახმარება. მეორენი ფიქრობენ, რომ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა აშშ/ევროპასთან ურთიერთობების გაღრმავებამ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის ხარჯზე.

საზოგადოების დიდ ნაწილში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კონფლიქტები აშშ-ს და რუსეთს შორის დაპირისპირების გამოხატულებაა, ხოლო საქართველოს მოსახლეობა ამ დაპირისპირების მსხვერპლია. ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების უმართებულო ქმედებებს, მათ შორის კონფლიქტების მოგვარების სფეროში, უკავშირებენ დასავლეთის ინტერესებს (მაგალითად: დასავლეთი საქართველოს “შავი სამუშაოს” შესასრულებლად იყენებს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაში; რუსეთთან ომზე საქართველოს ხელისუფლება აშშ-ს ადმინისტრაციამ წაახალისა; ევროპა და აშშ თვალს ხუჭავენ საქართველოს ხელისუფლების გადაცდომებზე და მისთ).

სამოქალაქო საზოგადოების წიაღიდან შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ნდობის აღდგენისათვის მიმართულ მცირე მასშტაბის, მათ შორის ბიზნეს პროექტებს. ასეთი პროექტების რაოდენობა უკიდურესად მცირეა, ხორციელდება უცხოური ორგანიზაციების მიერ შეზღუდული დაფინანსებით და ვერ გამოდგება კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის მასშტაბურად განვითარებისათვის. სახელმწიფო დაწესებულებებიდან ასეთი ურთიერთობის წარმატებული გამოცდილება გააჩნია ჯანდაცვის სამინისტროს.

საზოგადოებათა შორის ურთიერთობები (მათ შორის კომერციული თუ ჰუმანიტარული მიზნებით) შედარებით ინტენსიურია აფხაზეთის რეგიონის გალის რაიონთან არსებული “გამყოფი ხაზის” მთელ პერიმეტრზე და ცხინვალის რეგიონის ახალგორის რაიონთან არსებული საზღვრის მონაკვეთზე. ასეთ ურთიერთობებში ძირითადად ჩართულია დასახლებული რაიონების ქართველი მოსახლეობა. მიმოსვლა ხორციელდება როგორც საკონტროლო-გამშვები პუნქტების, ასევე “ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების” არაოფიციალური გადაკვეთის ადგილების გამოყენებით. ინტენსიური ხასიათი აქვს არაფორმალურ მეგობრულ და ნათესაურ ურთიერთობებს ქართველებსა და აფხაზებს, ქართვერებსა და ოსებს შორის.

“ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების” გადაკვეთის პირობები მხარეების მიერ დგინდება და კონტროლდება ურთიერთშეთანხმებელი, განსხვავებული წესებით. შედარებით ლოიალურია ქართული მხარე, თუმცა ფორმალური შეთანხმების არ არსებობა მნიშვნელოვან რისკებს და უხერხულობებს უქმნის მოსახლეობისათვის.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება ოკუპირებულ გალის (აფხაზეთი) და ახალგორის (სამხრეთ ოსეთი) რაიონებში კომპაქტურად მცხოვრები ქართული მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების საკითხი. გალის რაიონის შემთხვევაში ეს დაკავშირებულია რეგიონის სრული რუსიფიკაციის პოლიტიკასთან. ახალგორის რაიონის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომელიც ხელს არ უწყობს ქართული სკოლების საქმიანობას. უკმაყოფილება გამოითქმის აგრეთვე თბილისის გადაწყველებაზე ახალგორს არ მიაწოდოს გაზი, რომლითაც ოკუპანტებიც ისარგებლებენ. შედეგად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია უარს აცხადებს სარწყავი წყლის მიწოდებაზე “გამყოფი ხაზის” მიმდებარე გორის რაიონის ქართულ სოფლებისათვის, რაც უმოსავლიანობასა და ამ სოფლების დაცლას იწვევს.

არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მიმდინარე პროექტებიც, რომლებიც ორიენტირებულია ქართველი, აფხაზი და ოსი ეროვნების საზოგადოებების წარმომადგენელთა შეხვედრებზე საზღვარგარეთ. არასამთავრობო სექტორის ასეთ აქტივობებს პოზიტიური შედეგი აქვს პროექტებში ჩართულ პირებს შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ გავლენას ვერ ახდენს მხარეთა ხელისუფლებების პოლიტიკაზე.

როგორც ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით “გამყოფი ხაზების” სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა და დევნილები ადექვატურად აფასებენ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობის სირთულეს; მიაჩნიათ, რომ აფხაზური და ოსური მხარეების ადმინისტრაციები სრულადაა დამოკიდებული მოსკოვის ნებაზე.

ამავე დროს უმეტესობას არ მიაჩნია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი არ წარმოადგენენ კონფლიქტის მხარეებს. საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით ცხინვალის რეგიონის და განსაკუთრებით აფხაზეთის ხელისუფლებებისათვის “მარიონეტის” როლის მინიჭება კიდევ უფრო აღრმავებს მხარეებს შორის არსებულ ბზარს. უმრავლესობა პრიორიტეტულად მიიჩნევს პირდაპირი შეთანხმების გაფორმებას სოხუმთან და ცხინვალთან, რაც გაითვალისწინებს როგორც უსაფრთხოების გარანტიების ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მექანიზმებს.

ექსპერტთა დიდ ნაწილში დომინირებს შეფასებები:

- 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება უკავშირდებოდა რუსეთის ინტერესს გააძლიეროს საკუთარი პოზიციები კავკასიაში. ამასთანავე მიღებული სავალალო შედეგები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაშვებულმა სტრატეგიულმა შეცდომებმა და დაუბალანსებელმა პოლიტიკამ განაპირობა;
- დღეისათვის შექმნილი უკომპრომისო პოლიტიკური ურთიერთობა ერთის მხრივ რუსეთ-საქართველოს შორის, მეორე მხრივ ქართულ და ოსურ, ქართულ და აფხაზურ ოფიციალურ მხარეებს შორის, წარმოადგენს კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშემშლელ მთავარ მიზეზს;
- კონფლიქტების მოგვარების პროცესების განვითარების შესაძლებლობა იკარგება “ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის” პოლიტიზირებულ ფორმულირებებში, ხოლო “სამოქმედო გეგმა”

განუხორციელებელია სახელმწიფოს მიერ დაწესებული პირობების (მოდალითის) გამო.

- “სამოქმედო გეგმის” რეალიზაციისათვის მუშაობა არ წარმოადგენს პრიორიტეტს საქართველოს ხელისუფლებისათვის. ეს გეგმა ხელისუფლებას იმისათვის სჭირდება რომ დასავლეთი თავის კონსტრუქციულობაში დაარწმუნოს;
- მცდარია ხელისუფლების უცვლელი პოზიცია არ სცნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კონფლიქტის მხარეებად, შესაბამისად იგი იგნორირებას უკეთებს ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნას. ხელისუფლება გამორიცხავს სოხუმთან და ცხინვალთან რაიმე შეთანხმების გაფორმებას უსაფრთხოების საკითხებზე, შესაბამისად შეუძლებელი ხდება კომპრომისის მოთხოვნა რუსული, აფხაზური და ოსური მხარეებისაგან რათა მათ დაუშვან საერთაშორისო ორგანიზაციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას;
- უპერსპექტივოა რუსეთის იძულება თავი სცნოს ოკუპანტად. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მიღებული დადგენილებების და განცხადებებისა, დასავლეთის ინტერესებში არ შედის რუსეთზე ეკონომიკური და/ან პოლიტიკური გლობალური ზეწოლის განხორციელება. ამდენად სახელმწიფო სტრატეგიაში რუსეთის ფაქტორის იგნორირება კონტრპროდუქტიულია;
- არსებული სტატუს-ჟგო ხელს აძლევს რუსეთს, რომელიც აძლიერებს თავის სამხედრო პოტენციალს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში. (გათვითცნობიერებული წყაროების მიხედვით, იგივე შეხედულებებია აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებშიც).

ნიშანდობლივია, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაციის თემაზე საზოგადოების რიგით წარმომადგენელთა პოზიციები და სპეციალისტთა მიდგომები, უმრავლეს შემთხვევაში იდენტურია.

ამასთანავე არსებობს სკეპტიციზმი აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან რაიმე შეთანხმების გაფორმების საკითხისადმი, რადგან ამით ჩნდება მათი სუვერენიტეტის, თუნდაც ნაწილობრივ, დადასტურების საფრთხე. საფუძველმოკლებული არაა აგრეთვე შეთანხმების დარღვევის პროვოცირების მოლოდინი, რაც დაინტერესებული მხარის მიერ აგრესიის გაფართოების მიზეზად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

პროვოკაციის საფრთხის პრევენცია გარანტიების მყარი მექანიზმის ჩამოყალიბებას მოითხოვს. უენევის მოლაპარაკებების ხასიათი ასეთი გარანტიების შექმნის იმედს არ ტოვებს. პრობლემათა განსხვავებული ხასიათის გამო ნეგატიურია ექსპერტთა დამოკიდებულება აფხაზურ და ოსურ მხარეებთან მოლაპარაკებების ერთ ფორმატში წარმოებასთან დაკავშირებით.

უმრავლესობის აზრით პირველი ეტაპის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ისეთი პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც მიმართული იქნება ომით გახლეჩილ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებისაკენ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ნათესაური კავშირების აღდგენას, სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა ფორუმების ორგანიზებას. ბევრი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ თემების განხილვაზე მიზანშეწონილია დროებითი მორატორიუმის გამოცხადება, “რუსეთზე ზეწოლის” პოლიტიკა “რუსეთთან მოლაპარაკების” პოლიტიკამ უნდა ჩაანაცვლოს საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით და/ან მონაწილეობით.

3. კონფლიქტების მოუგვარებლობით გამოწვეული საფრთხეები. კონფლიქტების ტრანსფორმაციის სტრატეგიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ფაქტორები.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მხრივ საქართველოს პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერისა, ფაქტია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების მიტაცების პროცესი, ისევე როგორც ოკუპირებული ტერიტორიების რუსიფიკაცია ინტენსიურად მიმდინარეობს.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი რეგიონის, მომავალი უსაფრთხოებისათვის, განსაკუთრებით საგანგაშოა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება, მათ შორის სატრანსპორტო და ენერგეტიკული კომუნიკაციების უშუალო სიახლოვეს, მათი აღჭურვა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით.

მნიშვნელოვანი მოცულობისაა რუსეთის ბიზნეს სტრუქტურების მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ სფეროებში. თავის დროზე ეს გარემოება ვერ იქნა მიმართული ორმხრივ ურთიერთობათა პოზიტიური განვითარებისათვის. ვითარების გამწვავების შემთხვევაში ადვილად შეიძლება ამ ბერკეტების დამატებით ზეწოლის მექანიზმად გამოყენება.

საქართველოს საზოგადოება, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონებთან მიმდებარე რაიონებში, პერმანენტული დაძაბულობის ატმოსფეროში ცხოვრობს. ასეთი ვითარება მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს ახდენს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საინვესტიციო გარემოსა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების სტრატეგიულ გეგმების რეალიზაციაზე. უპერსპექტივოდ გამოიყურება რუსეთის სავაჭრო ბაზრის სრულფასოვანი ჩანაცვლება ისეთი ალტერნატიული ბაზრებით, რომლებიც მზად არიან კარი გაუღონ ქართული სტანდარტის საქონელს. შესაბამისად არ არსებობს წარმოების განვითარების სტიმული, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში. აშკარაა სოფლის მოსახლეობის გაღარიბების და დაუსაქმებელთა ზრდის ტენდენცია.

საქართველოს რეგიონების ოკუპაციით რუსეთმა პოზიციები გაიმყარა სამხრეთ კავკასიაში, შეაჩერა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ეფექტური ინტეგრაციის პროცესი. ამასთანავე რუსეთმა პოზიციები გაიმყარა პრობლემატური ჩრდილო კავკასიის რეგიონების “ზურგში” და პრაქტიკულად აკონტროლებს რუსეთ-საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის მთელ პერიმეტრს.

იმის იმედით ყოფნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ოკუპაციით სრულად განახორციელა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში თავისი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 წლამდე (approved by Presidential decree N537 of May 12, 2009), ღრმა და გაუმართლებელი შეცდომა იქნებოდა. საქართველოს მიმართ აგრესიის გაგრძელება ნებისმიერ დროს შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა სახის შიდა და გარე ფაქტორებმა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დაკარგვის პროცესს შეუქცევადი ხასიათი ეძლევა არა მარტო რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაციის გამო. ინტენსიური ხასიათი აქვს ომით გახლეჩილი ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების ურთიერთ გაუცხოებას. ამ ტენდენციას ხელს უწყობს აფხაზეთისა და ოსების უნდობლობა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რასაც რუსული პროპაგანდა ადვილად აღრმავებს ოფიციალური თბილისის აგრესიული რიტორიკის ფონზე.

მიუხედავად ცალკეული პოზიტიური მაგალითებისა, სამოქალაქო ურთიერთობები არაა მოქცეული მხარეთა შორის რაიმე სახის შეთანხმებათა ფორმატში. ეს ურთიერთობები ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს რუსეთის ან მასზე დამოკიდებული დე-ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით. მოსალოდნელია აგრეთვე მათი მხიდან სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა განვითარების შემოთავაზება ისეთი ხასიათის წინაპირობებით, რომლებიც მიუღებელი იქნება საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის.

არასტაბილური სამხრეთ კავკასია, მათ შორის საქართველო, ძირს უთხრის საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას მიაღწიოს ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებას “ფართე სამხრეთის განზომილების” – Wider Southern Dimension, რეგიონში.

საქართველოში რუსეთს არ გააჩნია დასაყრდენი ავტორიტეტული პოლიტიკური ძალის სახით. ამდენად მის ინტერესებშია მუდმივად წაახალისოს დაძაბულობა, რასაც ხელს უწყობს საქართველოში დამკვიდრებული მართვის სტილი და ნაკლოვანებები დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში.

საქართველოს მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკურ მხარდაჭერას შეუქცევადი ხასიათი ექნება მხოლოდ საქართველოს მხრიდან გარკვეული პირობების უეჭველი შესრულების შემთხვევაში. არსებობს საფრთხე იმისა, რომ საქართველო გადაიქცეს დასავლური დახმარების უპასუხისმგებლო მომხმარებლად. მიღებული სიკეთეების სანაცვლოდ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა უბრუნებდეს ეფექტურ რეფორმებს დემოკრატიის სფეროში, უზრუნველყოფდეს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და თავად იყოს რეგიონალური უსაფრთხოების გარანტი. ამ მიმართულებებით ჩამორჩენებს ხელისუფლება რუსეთთან პერმანენტული დაპირისპირებით ხსნის და მოკავშირეებს ახალს არაფერს სთავაზობს გარდა ნატოს ოპერაციაში მონაწილეობის გაზრდისა.

გლობალური ხასიათის გამოწვევებმა წარმოშვა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობის ახალი რეჟიმი, რომელშიც პრიორიტეტი ენიჭება თანამშრომლობას და არა ცივი ომის პერიოდის კონფრონტაციას. სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე საქართველოს მხარდასაჭერად მიღებული რეზოლუციები და განცხადებები არასაკმარისია ჩიხური ვითარებიდან გამოსვლისათვის. ასეთ ფონზე კონფლიქტების მოგვარების პროცესში შექმნილი სტაგნაცია შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდეს. ეს გარემოება გააძლიერებს რუსეთის პოზიციას პოსტ-საბჭოთა სივრცეში გავლენის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ომის შედეგების მძევლად დარჩენილი საქართველო კარგავს დასავლეთისათვის ეფექტური მოკავშირის ფუნქციას.

მრავალმხრივი პრობლემის სიმძაფრე ძირითადად სამოქალაქო საზოგადოებაზე აისახება. როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ჯანმრთელობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმეა დევნილებისა და “ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების” მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა. მოუგვარებელი კონფლიქტების გამო დამკვიდრებული მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო ერთნაირი სიმძაფრით იგრძნობა როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში.

ღრმავდება იმის შეგრძნება რომ გლობალური გეოპოლიტიკური პროცესების მთავარი მონაწილეებისათვის მცირე ერების ინტერესები მხოლოდ მანიპულაციების საშუალებას წარმოადგენს. პერმანენტული დაძაბულობის პირობებში ცხოვრების ნეგატიური შედეგები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ბავშვების და მოზარდების ფსიქიკაზე.

4. რეკომენდაციები კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის დაწყების მიზანია მდგრადი სტაბილურობის დამკვიდრება; ქართულ, აფხაზურ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებებში პოზიტიური ფსიქოლოგიური განცდის, უკეთესი მომავლის იმედის გაჩენა; კონფლიქტებით დაშორებულ საზოგადოებათა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნა; საქართველოსადმი ინვესტორების ნდობის ამაღლება; ტურიზმისა და წარმოების სტიმულირება და რაც მთავარია საფუძველის მომზადება კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარებისათვის.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში თავისი სამხედრო ბაზების ყოფნას რუსეთი ამართლებს საქართველოს აგრესიისა და მოსახლეობის დაცვის აუცილებლობით. კონფლიქტების ტრანსფორმაციის სტრატეგია უნდა დაუკავშირდეს ამ არგუმენტის გაბათილების მიზანს.

საჭიროა საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზოგადოებებთან ურთიერთობების განვითარებისათვის. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესმა წინაპირობები უნდა შეუქმნას ამ რეგიონებში საერთაშორისო ორგანიზაციების მისიების შესვლას.

ცალკეული წარმატებული პროექტები, ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების უშედეგობის ფონზე, ამ მიზნების რეალიზაციის იმედს არ ტოვებს. ჩიხური მდგომარებიდან გამოსასვლელად მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამოქალაქო ინიციატივების ხელშეწყობაზე. აუცილებელია ურთიერთობათა განვითარება სამთავრობო სტრუქტურების მიღმა (beyond governmental structures).

სამოქალაქო საზოგადოებათა დიალოგის საწყის წინაპირობად უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი პრინციპი: როგორ პოლიტიკური გარემოც არ უნდა ჩამოყალიბდეს, საზოგადოებებს, მათ მომავალ თაობებს ყველა შემთხვევაში ერთიან გეოგრაფიულ გარემოში მოუწევთ ცხოვრება.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად უნდა გააფართოონ არასამთავრობო სექტორის ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობს მხარეთა პოლიტიკური ექსპერტების დიალოგს, ბიზნესმენების, ჟურნალისტების, ფერმერების, ეკოლოგების, მედიცინის მუშაკების, სტუდენტების “ინტერესთა ჯგუფების” შექმნას.

ასეთი ჯგუფებიდან უნდა წამოვიდეს ინიციატივები ტრანსსასაზღვრო ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების, “გამყოფი ხაზების” გადაკვეთის ლიბერალიზაციის, წყლის რესურსების მართვის, ჯანდაცვის მომსახურების, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების, ბიზნეს პროექტების განხორციელების საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში მოხდეს ყოველი ასეთი პროექტის აღრიცხვა, კლასიფიცირება, ანალიზი, ფინანსური და პოლიტიკური პატრონაჟი.

მიმდინარე ეტაპზე რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი პოლიტიკური შეთანხმების რეალური წინაპირობა არ არსებობს. საერთაშორისო თანამეგობრობის შუამდგომლობით, თბილისმა და მოსკოვმა, მხარი უნდა დაუჭირონ ქართულ-რუსულ “ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს” შექმნას, რომელიც “რთულ საკითხებზე” იმუშავებს.

სამოქალაქო სექტორის წახალისება შეიძლება მოხდეს ეუთოს მიერ, რომელიც ეფექტურ დამაკავშირებელ რგოლად ჩამოყალიბდება TRACK II ინიციატივების მონაწილეთა და პოლიტიკურ ხელისუფლებებს შორის.

საჭიროა არსებობდეს პოლიტიკური შეკვეთა სამოქალაქო საზოგადოებებისადმი გამონახონ თანამშრომლობის გზები და სფეროები. ამ შეკვეთის რეალიზაციას სათავეში უნდა ჩაუდგინდეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები შეიძენს გრანტების მოპოვებისათვის შეჯიბრის სახეს, ექსპერტთა ჯგუფების მიერ ჩატარებულ კვლევებს და გამოქვეყნებულ ნაშრომებს არ ექნება გამოყენებითი მნიშვნელობა.

უდავოა, რომ შემოთავაზებული პროცესების განვითარების ხელშემშლელ მთავარ ფაქტორს რუსეთ-საქართველოს ანტაგონისტური ურთიერთამოკიდებულება წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება მუდმივად მიუთითებს რომ კონფლიქტი აქვს მხოლოდ რუსეთთან. ამავე დროს მუდმივად აპელირებს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან პირდაპირი ურთიერთობებისათვის მზადყოფნაზე. ოფიციალური რუსეთი კი უარს აცხადებს საქართველოს არსებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე. ასეთი პოზიციით კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის დამოუკიდებლად დაწყება საქართველოსათვის დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს. საწყისასთვის საჭიროა თავად საქართველოს პოზიციის ტრანსფორმაცია.

რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელება ჩვეული, მწვავე კონფრონტაციის რეჟიმში კონტრაპროდუქტილია. საერთაშორისო თანამეგობრობას რეალურად გააჩნია რესურსი რუსეთის კონსტრუქციული მოლაპარაკებების ფორმატში მოსაქცევად. ამის საშუალება მას საქართველომ უნდა მისცეს.

ოფიციალურმა თბილისმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაციით საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება განპირობებულია არა მხოლოდ საქართველოს ინტერესებით. საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ევრო-ატლანტურ სივრცეში სტაბილურობის შენარჩუნება, გავლენის ბალანსის აღდგენა და რუსეთის მხრიდან შესაძლო პროვოკაციების პრევენცია.

სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ძალისხმევა რეალურ ეფექტს მოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას საფუძვლად დაედება კონფლიქტების მხარეთა და პროცესებში მონაწილე სხვა აქტორების რეალური დაინტერესება და შეთანხმებები.

საქართველოს ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებათა შემსწავლელი ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნას. ამ დოკუმენტის მიხედვით შეიარაღებული კონფლიქტი წარმოადგენს სამი ომის ერთობლიობას: 7 აგვისტოს დაწყებული შიდა ომი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს (სახელმწიფოს ნიშნის არ მქონე ერთეული-entity short of statehood) შორის; 9 აგვისტოს კოდორის ხეობის დაბოვებით დაწყებული შიდა ომი საქართველოსა და აფხაზეთს (სახელმწიფოს მსგავსი ერთეული-state-like entity) შორის; 8 აგვისტოს დაწყებული საერთაშორისო კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის.

საქართველოს მხრიდან კომპრომისის დაშვება უნდა მოხდეს დასავლელი პარტნიორების წინადადების საფუძველზე. საზოგადოება ადვილად გაიგებს, რომ ეს ხელისუფლების სისუსტე კი არა, ერთადერთი გზაა მოლაპარაკებების ახალ ფორმატების შესაქმნელად. აშშ და ევროკავშირს საშუალება მიეცემა განავითარონ რეგიონში რუსეთის გავლენის დაბალანსების სტრატეგია, წინაპირობა შეუქმნან ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლას, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს საშუალება მიეცემა საფუძველი გამოაცლოს რუსეთის ბრალდებებს საომარი მოქმედებების დაწყების სურვილის შესახებ და გზა გაუხსნას “სამოქმედო გეგმის” ეტაპობრივ რეალიზაციას.

გასული წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა ცალმხრივი განცხადება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რამაც თავისი პოზიტიური როლი შეასრულა. რუსეთის იძულება საპასუხო განცხადება გააკეთოს საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების შესახებ უპერსპექტივოა. უფრო მეტიც, მოსკოვის მხრიდან ასეთი განცხადება კონპროდუქტიული იქნებოდა. სრულფასოვანი პასუხი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე რუსეთისაგან მოითხოვს არა მარტო თავდაუსხმელობის გარანტიებზე საუბარს, არამედ უკომპრომისო

პოზიციის დაფიქსირებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხზე. ამდენად ურთიერთობათა არსებულ რეჟიმში “გაცვლილი” ცალმხრივი განცხადებები კონფრონტაციული იქნება და კიდევ უფრო გააძლიერებს ჩიხურ ვითარებას. რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობა მისი სამშვიდობო პროცესებში ჩართვით უნდა იქნეს გარანტირებული.

საწყის ეტაპზე აუცილებელია ვითარებაზე გავლენის მქონე აქტორების შეთანხმება რამდენიმე მთავარ პრინციპზე. ეს პრინციპები შესაძლოა გამოიხატოს აშშ, ევროკავშირისა და რუსეთის ერთობლივ დეკლარაციაში, რომელსაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ ეუთოს ან სხვა რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმატში. კერძოდ:

- მხარეები აღიარებენ რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოუგვარებლობა საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობას, როგორც ლოკალური (კავკასიური) ასევე სუბ-რეგიონალური (კავკასია, კასპიის ზღვის აუზი, შავი ზღვის აუზი) მასშტაბით;
- მხარეები აღიარებენ რომ მიმდინარე ეტაპზე მათ შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების საკითხებზე, განსხვავებულია მათი მიდგომები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით;
- აცნობიერებენ რა პასუხისმგებლობას როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებაზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოებების წინაშე, მხარეები მიესალმებიან თბილისის, სოხუმის და ცხინვალის მოლაპარაკებებს უსაფრთხოების, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დაცვის, საზოგადოებებს შორის ნდობის აღდენის, ჰუმანიტარული და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე;
- მხარეები იღებენ ვალდებულებას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მყარი მშვიდობის დამყარებას და მოლაპარაკებათა პროცესების განვითარებას მხარეებს შორის. ამ მიზნის მიღწევისათვის ეფექტურად მიიჩნევენ ეუთოს მექანიზმების გამოყენებას.

მნიშვნელოვანია რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობამ ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო თანამეგობრობას, რისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა ეუთოს წევრი რამოდენიმე ქვეყნისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამ ფორმატში უნდა გაიმართოს მსჯელობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის შეტევითი სამხედრო ტექნიკის, შორი მოქმედების სარაკეტო სისტემების გაყვანის საკითხზე.

რაც შეეხება შეთანხმებას მხარეებს შორის.

ნებისმიერი საერთაშორისო ან თუნდაც ცალმხრივი სამშვიდობო ინიციატივის ეფექტური რეალიზაცია შეუძლებელია მხარეების მოლაპარაკებების გარეშე. საქართველოს ხელისუფლება არ უნდა იყოს წინააღმდეგი ხელი მოაწეროს შეთანხმებას მათთან, ვისაც ისინი ნორმალურ ვითარებაში რეგიონების ავტონომიურ ხელისუფლებად ჩათვლიდნენ. 2008 წლის აგვისტოს ომამდე შეთანხმებების და მოლაპარაკებათა ოქმების გაფორმება ნორმალურ პრაქტიკად იყო აღიარებული.

უსაფრთხოების გარანტიების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წინადადებას ქართულმა მხარემ კონსტრუქციული პასუხი უნდა გასცეს. უკიდურეს შემთხვევაში შეთანხმების პრინციპები შეიძლება აისახოს “ორმხრივ დეკლარაციებში” რომელსაც ხელს მოაწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და მოწმე მხარეები.

- დოკუმენტი არ უნდა ასახავდეს მხარეთა პოლიტიკურ სტატუსს;
- დოკუმენტში უნდა დაფიქსირდეს მხარეთა პოლიტიკური პოზიციების განსხვავება და თანხმობა პოლიტიკური თემატიკისაგან დროებითი დისტანცირების თაობაზე;
- უნდა მოხდეს ძალების გამოუყენებლობის შესახებ არსებული ვალდებულებების აღიარება და დაიდოს მათი შესრულების პირობა;

- გასაგები მიზეზების გამო დოკუმენტს ვერ ექნება სახელმწიფოთა შორის შეთანხმების სტატუსი;
- მიზანშეწონილი არაა რომ დოკუმენტში საუბარი იყოს მხოლოდ თავდაუსხმელობის გარანტიებზე;
- უნდა დაიდოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და მხარეთა ადგილობრივი პროცედურული ბაზის ლიბერალიზაციის პირობა;
- ხაზი გაესვას ადამინის ფუნდამენტალური უფლებების დაცვის ვალდებულებებს;
- უნდა მოხდეს საზოგადოებათა შორის ურთიერთობათა განვითარების უფლებამოსილების დელეგირება ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის;
- შეთანხმდეს “გამყოფი ხაზის” გადაკვეთის უფლება მხარეთა საინდეფიკაციო დოკუმენტების გამოყენებით ყოველგვარი გადასახადებისა და შტამპების გარეშე;
- შეთანხმდეს მხარეთა წარმომადგენლებისაგან “საზოგადოებრივი საბჭოს” შექმნის საკითხი თანათავმჯდომარეობის პრინციპით, რომელიც შუამავლის როლს შეასრულებს საზოგადოებებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, მათ შორის კონკრეტული პროექტების განხორციელების საკითხებზე.

რეალურ პრობლემას წარმოადგენს შეთანხმებათა შესრულების გარანტირების საკითხი. რუსეთის მხარემ უკვე გამოხატა მზადყოფნა გარანტირის ფუნქციის შესრულებაზე. ასეთი შემთავაზება ლოგიკური იქნებოდა, რომ არა რეგიონების ტერიტორიებზე მისი სამხედრო ბაზების არსებობა და რაც მთავარია საერთაშორისოდ აღიარებული ოკუპანტის სტატუსი.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მხარეების შეთანხმების გარანტიად, უფრო სწორედ შეთანხმების შესრულების ფასილიტატორად, უნდა გამოვიდეს ეუთო ან გაერო რომელსაც საშუალება ექნება დანიშნოს საგანგებო წარმომადგენელი და პროცესების მონიტორინგისათვის შექმნას საგანგებო მისია. მისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს მხარეთა საზღვრისპირა რეგიონებში საზოგადოებების ურთიერთობების ხელშეწყობა. საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიების მექანიზმად შეიძლება აღიარებულ იქნეს აშშ-ევროკავშირი-რუსეთის ერთობლივი დეკლარაცია.

უსაფრთხოების გარანტირების მექანიზმად შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში არსებული სამუშაო ჯგუფის მექანიზმი. საჭირო იქნება ამ ჯგუფის სტატუსის ამაღლება და ფუნქციების გაფართოება.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წამოაყენოს ახალი ინიციატივები:

- სამოქალაქო საზოგადოებების ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვას აფხაზური და ოსური პასპორტებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სარგებლობა;
- დაუშვას ოკუპირებული რეგიონების ტერიტორიაზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების შესვლა “საზოგადოებრივი საბჭოს” რეკომენდაციის გათვალისწინებით. დაუშვას რეგიონების ტერიტორიებზე მათი წარმომადგენლობების გახსნა;
- ამავე პრინციპით დაუშვას “გამყოფი ხაზების” სიახლოვეს “ინდუსტრიული ზონების” გახსნა. თხოვნით მიმართოს ევროსტრუქტურებს ორგანიზება გაუკეთოს საექსპერტო ჯგუფს, რომელიც დაამუშავებს წინადადებებს ასეთი ზონების საქმიანობის შესახებ;
- მხარი დაუჭიროს მიმდინარე საყოფაცხოვრებო პრობლემებზე სამსჯელოდ “გამყოფი ხაზების” ორივე მხრიდან მიმდინარე სოფლების გამგებელთა საბჭოების შექმნას;
- მოხსნას “მოდალითით” დაწესებული ყოველგვარი შეზღუდვები ქართული, აფხაზური და ცხინვალის რეგიონის ბიზნეს ჯგუფების ერთობლივ ან თუნდაც ინდივიდუალურ საქმიანობაზე “გამყოფი ხაზების” ორივე მხარეს;
- სრული ლოიალობა გამოაცხადოს აფხაზეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ბიზნეს და ტურისტული ტურების ორგანიზებაზე, რაც მცირე

მასშტაბებით ხორციელდება ზოგიერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ხელშეწყობით.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მოწესრიგება "ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების" მიმდებარე ქართულ სოფლებში, განსაკუთრებით გორის რაიონში. საჭიროა მასშტაბური პროექტების განხორციელება საცხოვრებელი სახლებისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად.

ცხინვალის წყალსაცავის გადაკეთვის გამო შექმნილი სარწყავი წყლის დეფიციტი განაპირობებს გორის რაიონის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობისაგან დაცლას, დარჩენილები მცირე შემწეობის ხარჯზე ცხოვრობენ. როგორც ჰუმანიტარული ასევე სტრატეგიული თვალსაზრისით ეს გარემოება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესს. სარწყავი წყლის სანაცვლოდ ცხინვალი მოითხოვს გაზომიარაგების აღდგენას ახალგორის რაიონისათვის. თბილისისათვის მიუღებელია გაზის მიწოდება, რადგან ამით საოკუპაციო ძალებიც ისარგებლებენ. მთავრობისათვის გასათვალისწინებელია, რომ ახალგორის რაიონში ძირითადად ქართველებითაა დასახლებული. მშობლიურ მიწაზე მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება პრიორიტეტულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გათბობის საშუალების უქონლობის გამო სერიოზული ზიანი ადგება ეკოლოგიას, იჩეხება ტყეები.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა გარკვეული შეთანხმების მიღწევა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე ზონკარის წყალსაცავის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ამ პროექტის განხორციელება ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს. ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მოლაპარაკებები ცხინვალის წყალსაცავის გახსნასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვან გამოუყენებელ რეზერვს წარმოადგენს ოჯახური, ნათესაური და პირადი ურთიერთობები, რომლებსაც ინარჩუნებს "გამყოფი ხაზის" ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა. ფინანსური რესურსების უქონლობის გამო შეზღუდულია ერთობლივი ქართულ-აფხაზური პროექტი "გაყოფილი ოჯახები". ურთიერთობები არაოფიციალურად, ხშირად პირადი რისკის ქვეშ ხორციელდება.

აფხაზეთის ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ორმხრივი ურთიერთობებისათვის ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული გალის რაიონის ადამიანური რესურსები. შესაძლებელია პიდაპირი მოლაპარაკებების დაწყება ენგურის გაღმა მდებარე ქართულ სასაზღვრო სოფელ ხურჩაში (ზუგდიდის რაიონი) "ინდუსტრიული ზონის" მოწყობის თაობაზე. შესაბამისი პროექტი შემუშავებულია ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის" მიერ. ეს ასოციაცია ეფექტურ, თუმცა მცირე მასშტაბების მუშაობას წარმართავს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან.

უკვე ამ ეტაპზე შესაძლებელია ხურჩაში გაიხსნას ევროკავშირის დამკვირვებლების, შემდგომში კი გაეროს განვითარების პროგრამის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ოფისები. სოფლის გამშვებ პუნქტზე ინტენსიური მოძრაობა ორივე მიმართულებით, თუმცა გზები მოუწყვსრიგებელია.

მაღალეფექტურად ხორციელდება რეფერალური მომსახურების სახელისუფლებო პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში, აფხაზ და ოს ავადმყოფებს მიძიმე და გადაუდებელი ოპერაციების, ასევე რთული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს უნაზღაურებენ. პროგრამის მექანიზმი დახვეწას საჭიროებს, გასაზრდელია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ვინაიდან მომართვები, განსაკუთრებით აფხაზეთიდან დღითიდღე იზრდება. ამ სფეროში არსებობს მხარეთა შორის თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივა.

საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობის გაზრდის შემთხვევაში რეალური პერსპექტივა აქვს 90-იანი წლების საომარი მოქმედებების მონაწილეთა (ex-combatants), ქალთა ორგანიზაციების, საექსპერტო და ახალგაზრდული ურთიერთობების გაფართოებას. ამ მიმართულებებით საქმიანობის პოზიტიური გამოცდილება გააჩნიათ მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც ხშირ შემთხვევაში შეუმჩნეველი რჩება.

მხარეთა საზოგადოებებს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობების გაფართოება შესაძლებელია საქართველოს ბიზნეს-წრეების ფინანსური და ინტელექტუალური დახმარებითაც, თუნდაც წილობრივი მონაწილეობით, რაც ასევე მნიშვნელოვან გამოუყენებელ რეზერვად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლებლობათა ფარგლებში კომპანიებმა პირდაპირი დონორული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ეფექტურ პროექტებს ანხორციელებენ.

უნდა შეიცვალოს თბილისში მოქმედი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების მთავრობების საქმიანობის ხასიათი. აუცილებელია მათ ირგვლივ “მეორე აფხაზეთის” და “მეორე ცხინვალის რეგიონის” შექმნა, რომელიც ავტონომიურად იარსებებს ოკუპირებული ტერიტორიების გარეთ. საჭიროა იმის დემონსტრირება, რომ დევნილები წარმოადგენენ საზოგადოებას და არა სხვადასხვა პრობლემებით გათანგულ და უიმედო ცალკელ პირებს.

საჭიროა დევნილი სახელისუფლო სტრუქტურების ძირეული რეორგანიზაცია, მათთვის დევნილებთან დაკავშირებული ყველა საკითხის მართვის გადაცემა ფედერალური სტრუქტურებიდან. საჭიროა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების გზით დაკომპლექტება საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე. მოძველებული არჩევითი ორგანოების შენარჩუნება “ლეგიტიმურობის” მოტივით, რომელიც მათ დევნილობამდე ჰქონდათ, ფიქციაა და არანაირ ანგარიშგასაწევ ფაქტორს არ წარმოადგენს დემოკრატიული სამყაროსათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს რომ ზოგ შემთხვევაში მიზანშეწონილი არცაა მიმდინარე ურთიერთობების და კომპრომისული გადაწყვეტილებების ღია აფიშირება.

საერთო აზრით კონფლიქტების ტრანსფორმაციისათვის მიმართული ძალისხმევის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება შიდა-ეროვნულ თანხმობას პრინციპულ საკითხებზე. ასეთი თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა პირდაპირაა დაკავშირებული დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასთან და მომავალი არჩევნების სამართლიან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის გარემოში ჩატარებასთან.

გ.ვოლსკი
05.10.2011